

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 4

13.07.2020 წ.

2020 წლის 13 ივლისს შედგა სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის სხდომას 215 წევრიდან დაესწრო 142 წევრი.

(დასწრების სია თან ერთვის ოქმს)

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩვნების დანიშვნის შესახებ - მომხსენებელი, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზაალ ცინაძე;
2. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზაალ ცინაძის ინფორმაცია სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩვნების დანიშვნის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ: „საჯარო სამართლის იურდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის № 133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების 22-ე მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) 27-ე და 28-ე მუხლების შესაბამისად,

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დაინიშნოს არჩევნები 2020 წლის 3 აგვისტოს;
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ 4 წლის ვადით;
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) არის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;
- ბ) გააჩნია ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის 5 (ხუთი) წლის გამოცდილება;
- გ) აკმაყოფილებს ამ ოქმის დანართით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყო 2020 წლის 21 ივლისს და დასრულდეს 2020 წლის 27 ივლისს;
5. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:
 - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;
 - ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;
 - სამოქმედო გეგმა;
 - ინფორმაცია განათლების, შრომითი გამოცდილების, აკადემიური ხარისხის თაობაზე;
 - დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს კანდიდატის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან მის შესაბამისობას;
6. კომისიამ უზრუნველყოს კანდიდატთა რეგისტრაცია და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული საჭირო ღონისძიებების განხორციელება;
7. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად;
8. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. დამტკიცდეს არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოსაქვეყნებელი განცხადება დანართის შესაბამისად და განთავსდეს ფაკულტეტზე თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, (დანართი თან ახლავს ოქმს).

აზრი გამოთქვას პროფესორებმა: ზ. გვიშიანმა, მ. წიქარიშვილმა, ლ. ბალანჩივაძემ, მ. ჭანტურიამ,

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ ინფორმაციას.

2. მიმდინარე საკითხებში

მოისმინეს: 1. სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პროფესორ მარინა ჯავახიშვილის ინფორმაცია.
 მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო ინჟინერია“, სადაც სწავლების მეორე წელზე 60 კრედიტის მაგივრად პროგრამაში გაპარულია ტექნიკური ხარვეზი 1 კრედიტით, ამიტომ საგანში - „მშენებლობის მეთოდები“ ნაცვლად 5 კრედიტისა (ლექცია 15, საკურსო პროექტი 30, შუასემესტრული/დასკვნითი 1/2, დამოუკიდებელი 77) გახდა 6 კრედიტი (ლექცია 30, საკურსო პროექტი 30, შუასემესტრული/დასკვნითი 1/2, დამოუკიდებელი 87).

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ ინფორმაციას.

დაადგინეს: სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პროფესორ მარინა ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას გაეწიოს რეკომენდაცია სტუ-ს აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად.

დადაგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს: 2.სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პროფესორ მარინა ჯავახიშვილის ინფორმაცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები „მშენებლობა“ მზადდება აკრედიტაციისათვის და საჭიროებს განვითარებას - მოდიფიცირებას, ამიტომ ახალი სასწავლო კურსებისათვის დატვირთვები უნდა გაკეთდეს შედარების აქტების შესაბამისად.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ ინფორმაციას.

მოისმინეს: 3.სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტების შესახებ.

მოისმინეს: 4.ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია სამშენებლო ფაკულტეტის საინჟინრო მექანიკისა და მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზის № 101 დეპარტამენტის პროფესორების თამაზ ბაციკაძისა და ჯუმბერ ნიჟარაძის ქართულიდან რუსულად თარგმნილი სახელმძღვანელოს „მასალათა გამძლეობის“ I ნაწილის დაბეჭდვის დაფინანსების შესახებ.

დაადგინეს: სამშენებლო ფაკულტეტის საბჭო მხარს უჭერს პროფესორების თამაზ ბაციკაძისა და ჯუმბერ ნიჟარაძის ქართულიდან რუსულად თარგმნილი სახელმძღვანელოს „მასალათა გამძლეობის“ I ნაწილის გამოცემას და მისი გამოცემის დაფინანსებას ფაკულტეტის ბიუჯეტის მუხლიდან - „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შექმნა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები“ 420 (ოთხასოცი) ლარის ოდენობით.

დადაგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს: 5.საინჟინრო მექანიკისა და მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზის №101 დეპარტამენტის პროფესორის დემურ ტაბატაძის ინფორმაცია.

მომხსენებელმა საბჭოს თხოვნით მიმართა, რომ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის, ინჟინერთა მრავალი თაობის აღმზრდელის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრის დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის, პროფესორ ალექსანდრე კაკუშაძის სახელი ეწოდოს სტუ-ს პირველი სასწავლო კორპუსის №549 აუდიტორიას, ხოლო გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო მექანიკის კათედრის ხელმძღვანელის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის პროფესორ მერაბ მიქელაძის სახელი ეწოდოს სტუ-ს პირველი სასწავლო კორპუსის №544 აუდიტორიას.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ ინფორმაციას.

დაადგინეს: პროფესორ ალექსანდრე კაკუშაძის სახელი ეწოდოს სტუ-ს პირველი სასწავლო კორპუსის №549 აუდიტორიას, ხოლო პროფესორ მერაბ მიქელაძის სახელი ეწოდოს სტუ-ს პირველი სასწავლო კორპუსის №544 აუდიტორიას.

ფაკულტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გაეწიოს რეკომენდაცია სტუ-ს აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად.

დადაგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

სამშენებლო ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი

/ზ. გვიშიანი/

საბჭოს მდივანი, პროფესორი

/რ. იმედაძე /